

44(077)

გ-193 სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთო გალობერი

ფრანგული ფრაზეოლოგიზმების სწავლება უმაღლეს
სასწავლებლებში (არასპეციალურ ჰუმანიტარულ
ფაკულტეტებზე)

13.00.02 - სწავლების მეთოდика

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

შპს „ლეგი“

ტირაჟი 100

თბილისი
2004

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

შოთა შათირიშვილი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვიკრი ახვლედიანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

ქაიხვან ჯაფი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ნანა თევზორაძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 29 იანვარს, 12
საათზე, ხულსან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტთან არსებულ
პედაგოგიკის დარგის სადისერტაციო PD.13.00.CI1 საბჭოს
სსდომაზე.

მისამართი: 380079, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №32.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ხულსან-საბა
ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2003 წლის 29 დეკემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ციალა ლოლაძე

-1912-

პრობლემის დასმა და აქტუალობა. საქართველოში უცხოური
ენების სწავლებას უძველესი ტრადიციები აქვს. მიიჩნევენ, რომ
ბერძნული ენა IV საუკუნის დასაწყისიდან ისწავლებოდა. აკად. ს.
ყაუხჩიშვილის ვარაუდით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე
არსებობდა კოლხეთის რიტორიკული ორენოვანი, ქართულ-
ბერძნული სკოლა, სადაც უმაღლესი ფსიქოლოგიურ-რიტორიკული
განათლების მისაღებად თვით უძველესი და უმდიდრესი კულტურის
მქონე ბერძნებიც კი მოდიოდნენ. უფრო მოგვიანებით იწყება სხვა
ენების (თურქული, არაბული, სპარსული, რუსული) სწავლებაც.
ხოლო ფრანგული ენის სწავლება XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან
ივარაუდება, როდესაც ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო
საქმიანობაში აქტიურად ემშობიან იტალიელი და ფრანგი კათოლიკე
მისიონერები.

ფრანგული ენა ერთ-ერთი გავრცელებული შესასწავლი უცხოური
ენაა - იმ ხალხის ენა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა
მსოფლიო კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის
განვითარებაში.

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მაღალკვალიფიცირებული
უცხოური ენის სპეციალისტების მომზადება უმაღლესი სპეციალური
ენობრივი სასწავლებლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს.
უცხოური ენების სწავლებას უდიდესი ყურადღება ექცევა
არასპეციალურ ფაკულტეტებზეც. ეს, ერთგვარად, დაკავშირებულია
ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო კავშირების გაღრმავებასთან.
უცხოური ენების სრულყოფილად დაუფლებების მიზნით
გამოყენებულია ეფექტური, მეცნიერულად გააზრებული მეთოდები,
ტექნიკური საშუალებები, მდიდარი მზატვრული, პოლიტიკური,
სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურა და ა. შ.

ენა ადამიანთა ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალებაა, ენის
ლექსიკურ შემადგენლობაში შედიან ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც
ამდიდრებენ ენას და აქვთ უდიდესი საკომუნიკაციო დიაპაზონი და
ემოციური დატვირთვა.

უმაღლეს სპეციალურ ენობრივ, ისე არასპეციალურ
სასწავლებელში ენის სწავლების მეთოდოლოგია განიხილავს ენას,
როგორც კომუნიკაციურ სისტემას, შეისწავლის მისი მოვლენების
არსსა და ფუნქციას სამეტყველო აქტივობის პროცესში. ფრანგული
ფრაზეოლოგიზმები განიხილება, როგორც ენობრივი კომუნიკაციის
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ფრაზეოლოგია ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც
ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. დიდი მნიშვნელობა
აქვს მის სწორ გამოყენებას ზეპირსა და წერით მეტყველებაში, რაც
ამ ენის ცოდნის მაღალი დონის მაჩვენებელია. ფრაზეოლოგიზმები
წარმოადგენენ უდიდესი საკომუნიკაციო დიაპაზონისა და